ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №35

23 აპრილი, 2024 წელი
15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გურამ ოქროპირიძე;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - გივი ჩხარტიშვილი;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ვლადიმერ ბოჟაძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **(წერილის№12-032408818-03, 28.03.2024)** განხილვა.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (წერილი: **№19/032411330-03; 22.04.2024)** განხილვა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებული და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.** კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი გვილავას, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ცვლილება შედის, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში.**

დადგენილების პროექტის მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი" (შემდგომში - წესი) (დანართი N2).

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ წესში ცვლილების შეტანა, კერძოდ, წესის (დანართი N2) მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული თანხა - 20 000 (ოცი ათასი) ლარი, გაიზრდება და განისაზღვრება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით, შესაბამისად, თუ წარმოდგენილი პროექტით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე მიიღებს სამსახურის უფროსი, ხოლო თუ მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად პროექტი წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას. აგრეთვე, წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო" სახელწოდების ცვლილების გათვალისწინებით, შეიცვლება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროთი".

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:
მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 12/02/2019; N010260300.35.101.016576) და დადგენილების პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო

პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესის“ (დანართი N2):

ა) მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.

4. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.“;

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სპორტული ეროვნული ფედერაციების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩასატარებლად, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განახორციელოს თანადაფინანსება პროექტის ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 20%-ით. განცხადებას თან უნდა ერთოდეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაცია.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	6
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების,

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: **დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, დევი კონსტანტინეს ძე აბაშიძე დაიბადა 1924 წლის 1 მისს, ხარაგაულში, სოფელ ისლარში, 13 წლის იყო, როდესაც მამა, კონსტანტინე აბაშიძე გადაასახლეს, რის შემდეგაც ის უგზოუკლოდ დაიკარგა და მხოლოდ დაახლოებით 50 წლის შემდეგ გაირკვა, რომ მატარებელში ასვლამდე დახვრიტეს სხვა, ასობით რეპრესირებულთან ერთად. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა ოჯახის მძიმე ყოფა, მალევე სკოლიდანაც გარიცხეს, როგორც ტროცკისტის შვილი, თვითონ ჰყვებოდა, რომ დაახლოებით 20 კილომეტრის გავლა უწევდა, იმ სკოლამდე, სადაც მიიღეს, მაგრამ იქიდანაც გარიცხეს და ისლარში, მეზობლად, სახლში, სახელდახელოდ მოწყობილ სკოლაში დადიოდა. 1941 წელს თბილისში გახდა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ამბობენ, რომ საკმაოდ წარმატებული სტუდენტი იყო, მაგრამ შეწყვიტა სწავლა და აქტიურად გადაერთო ხელოვნების სფეროში. 1944–1948 წლებში მუშაობდა მსახიობად სხვადასხვა თეატრსა და სახელმწიფო ანსამბლში. 1948 წელსჩაირიცხა და 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი და დასის გამგე, სადაც დადგა კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია" და „მკაცრი ქალიშვილები", პ. ჯაკომეტის „დამნაშავის ოჯახი", დ. გორგაძის „ნაცნობი სახეები" და სხვ. 1957 წლიდან მუშაობდა რეჟისორად კინოსტუდია „ქართულ ფილმი"-ში. როგორც დამდგმელ რეჟისორს,გადაღებული აქვს ფილმები: „დიდოსტატის მარჯვენა" (1969, .ტაბლიაშვილთან ერთად), წითელი

პატეფონი (1995), ომი ყველასთვის ომია (1990), ყველა კომეტა როდი ქრება (1982),გამოაღეთ ფანჯრები (1981), ყვარყვარე (1978) ჩაძირული ქალაქის მაძიებლები (1972);როგორც სცენარისტს: წითელი პატეფონი (1995), ომი ყველასთვის ომია (1990), ყვარყვარე (1978); როგორც მეორე რჟისორს: ნინო (1959), ჭიაკოკონა (1961), ალავერდობა (1962),ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი (1965), უყაიმო თამაში (1966).დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმიანობას. „თუ არაფერი გამოვა,რეჟისორის ბრალია. არ დააბრალონ არც ერთ მსახიობს. თუ ვერ გააკეთა, აბა რატომ აიყვანე. თუ აიყვანე – ვერ იმუშავე, ვერ მოარგე, ვერ ჩამოასხი ის სახე, რომელიც ჩაფიქრებული გქონდა." - წათქვამი აქვს ერთ-ერთ ინტერვიუში. ყოველთვის ობიექტური იყო როგორც სხვისი, ისევე თავისი ნაშრომის შეფასებისას. ხელოვანს როდესაც ეკითხებიან, თქვენი საუკეთესო ქმნილება რომელია, პასუხობს - რომელიც ჯერ არ შემიქმნია, თუმცა დევი აბაშიძე თავისი ფილმებიდან „ყვარყვარე"ს გამოარჩევდა: „რეჟისორებს რომ ეკითხებიან, იპრანჭებიან: „ყველა ჩემი შვილებია, ვერცერთს ვერ გამოვარჩევთო", არაფერი გასაპრანჭი არ არის. რეჟისორს აქვს ერთი საუკეთესო ფილმი. ჩემთვის გამორჩეული ფილმია „ყვარყვარე"; ისევე, როგორც რეზო ჩხეიძისთვის არის „ჯარისკაცის მამა", ელდარ შენგელაიასთვის „არაჩვეულებრივი გამოფენა". მათ სხვაც ბრწყინვალე სურათები აქვთ, მაგრამ ეს ერთი მაინც გამორჩეულია. სწორედ ასეთია ჩემთვის „ყვარყვარე", მაყურებელმაც ასე მიიღო." უყვარდა ადამიანები და ხალხთან ურთიერთობა მისი გამორჩეული ნიჭი იყო. ნებისმიერ საზოგადოებაში გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში ექცეოდა თავისი მართალი თუ მოსწრებული სიტყვით. ქედს იხრიდა და მდაბლად თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი ნიჭიერებისა თუ სილამაზის მიმართ. ყოველთვის აღფრთოვანებით იხსენებდა დიდ ხელოვანებს, არტისტებს, რომლებთანაც ბედმა ან მუშაობის ან მათთან მეგობრობის და ურთიერთობის სიხარული არგუნა. ამბობდა, საქართველოს მხოლოდ ინტელექტი, ჭკვიანი ადამიანები, ტალანტები შეინახავენ და გადაარჩენენო. სამეგობრო წრე კი მართლაც ულამაზესი და საინტერესო ხალხით იყო სავსე. მის ოჯახში იკრიბებოდნენ როგორც არტისტები, ისევე ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეები (დოდო აბაშიძე, ჯანსუღ კახიძე, ომარ მხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, ლეილა აბაშიძე, ეროსი მანჯგალაძე, თენგიზ ჩანტლაძე, დემურ ცქიტიშვილი...), სუფრას კი ყოველთვის თვითონ უძღვებოდა, როგორც აღიარებული უბადლო თამადა.

ცნობილი იყო თავისი სხარტი გამონათქვამებით თუ სახუმარო ისტორიებით. ერთ ინტერვიუში (გაზეთი „ჩემი ხარაგაული", 1999წ. 10 მაისი) თვითონვე გაიხსენა ერთ-ერთი: „მე და რეზო თაბუკაშვილი ხშირად ხუმრობით ხარაგაულის დამოუკიდებლობაზე ვმსჯელობდით. რეზო მეუბნებოდა, არ არიან თანახმა, რომ ხარაგაული დამოუკიდებელი იყოსო. სხვათაშორის, რეზო ჭეიშვილმა ამაზე პატარა მოთხრობაც შექმნა. გარდაცვალების წინ მითხრა, ველარ ვასწრებთ მე და შენ ხარაგაულის დამოუკიდებლად გამოყოფას და მოდი, თენგიზ ბუაჩიძეს შეეკარი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატიაო. თენგიზიც მალე გარდაიცვალა და ასე „დარჩა" ხარაგაული საქართველოს შემადგენლობაში."მიღებული აქვს ჯილდოები:

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1980) ღირსების მედალი (1964) ღირსების ორდენი (1999) დევი აბაშიძე გარდაიცვალა 2005 წლის 4 აგვისტოს თბილისში

მის ოჯახს და სამეგობროს კი თავი დაამახსოვრა როგორც ერთმა ლამაზმა ქართველმა, ოჯახის მოყვარულმა მეუღლემ, მამამ, უსათნოესმა ბაბუამ. უფროსი შვილიშვილი დევი აბაშიძეა.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა დევი აბაშიძეს (განმცხადებელი), რომელმაც მადლობა გადაუხადა კომისიის თითოეულ წევრს პროცესში აქტიური ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს: გივი ჩხარტიშვილმა, ვლადიმერ ბოჟაძემ.

გივი ჩხარტიშვილის განცხადებით, მისთვის როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატისთვის ძალინ დიდი პატივია განთავსდეს დევი აბაშიძის მემორიალური დაფა და გაიხსნას მისი სახელობის ქუჩა.

ვლადიმერ ბოჟაძემ მადლობა გადაუხადა ოჯახის წევრებს საკითხის ინიცირებისთვის. მისი განცხადებით, სიმბოლურია, რომ მემორიალური დაფის განთავსება, დევი აბაშიძის სახელობის ქუჩის გახსნა და კინოჩვენების გამართვა მიეძღვნება დევი აბაშიძის 100 წლის იუბილეს.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს დევი აბაშიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე